

სამცხე-ჯავახეთის გვიანსენოზოური ვულკანიზმი და მასთან  
დაკავშირებული ქისათიბის დიატომიტის საბადოს გენეზისი

ირაკლი სხირტლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტზე გეოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - გეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ავთანდილ ოქროსცვარიძე, გეოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად*

ირაკლი სხირტლაძე

17.06.2017

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სამცხე-ჯავახეთის გვიანსენოზოური ვულკანიზმი და მასთან გენეტურად დაკავშირებული ქისათიბის დიატომიტის საბადო. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გოდერძის ფორმაციას (წყებას), კონკრეტულად მის აგებულებას, იზოტოპური დათარიღების შედეგებს და წარმოშობის საკითხებს. ამასთან ერთად ნაშრომში მიმოხილულია ამ ვულკანიზმთან გენეტურად დაკავშირებული ქისათიბის დიატომიტის საბადო. გამოთქმულია მოსაზრება მისი გენეზისის შესახებ.

კრიტიკულადაა განხილული ბოლო დროის მოსაზრება გოდერძის ფორმაციის გენეტური კავშირის შესახებ კალდერულ ვულკანიზმთან. შესაბამისად ნაშრომში მოცემულია კალდერების ზოგადი დახასიათება და გატარებულია პარალელები გოდერძის წყების თავისებურებებთან: კერძოდ, აღწერილ იქნა გოდერძის ფორმაციის რამდენიმე გაშიშვლებაზე ვულკანოგენების ურთიერთმიმართება ვერტიკალურ ჭრილში, შედეგად კი დადგინდა მსგავსება სხვა ცნობილი კალდერების სტრატეგრაფიასთან.

ამასთან ერთად ნაშრომში დეტალურადაა დახასიათებული ქისათიბის დიატომიტის საბადო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მისი გენეზისი დაკავშირებულია გოდერძის ფორმაციის ანდეზიტური შედგენილობის ვულკანიზმთან და რომ მისი დაშორება ვულკანური ცენტრიდან არ უნდა ყოფილიყო ძალიან დიდი.

ნაშრომის ნაწილი დაფუძნებულია ჩვენს მიერ ჩატარებულ საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებულ ფაქტობრივ მასალაზე. კვლევის პროცესში გამოიკვეთა არაერთი დისკუსიური საკითხი, რომელთა გადაჭრას მომავალ სამეცნიერო საქმიანობაში შევეცდებით.

## Abstract

The master's thesis, presented here, overviews Late Cenozoic volcanism, located in Samtskhe-Javakheti, southern part of Georgia, and related Kisatibi diatomite deposits. Special attention is focused on the Goderdzi suite, in particular on its stratigraphy, results of isotopic dating and origins. Also, the thesis describes Kisatibi diatomite deposits, formation of which is related to the abovementioned volcanism and some opinions about its genesis are suggested.

The recent idea about the connection of the Goderdzi formation to caldera volcanism, is critically reviewed. Therefore, general descriptions of caldera volcanoes and similarities to the stratigraphic characteristics of the Goderdzi suite are given; several outcrops of this formation have been studied, and clear resemblance between volcanogenic sequences of the Goderdzi formation and other well-known calderas has been revealed.

Moreover, detailed characterization of Kisatibi diatomite deposits is provided. The thesis conveys the idea, that the genesis of Kisatibi diatomite is closely related to the Goderdzi suite forming andesitic volcanism and the distance between the volcanic center and diatom rich lacustrine basins was not big.

The part of the thesis is based on the material, which have been collected during our field work. The research has exposed several controversial issues, which we will try to resolve in the future scientific work.